<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სარკინიგზო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №4, 22.01.2003, მუხ. 25) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რკინიგზის სისტემაზე, რკინიგზის სისტემაში მგზავრთა გადაყვანაზე, ტვირთის, ბარგის, ტვირთ-ბარგისა და ფოსტის გადაზიდვაზე და რკინიგზის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.“.

2. მე-2 მუხლის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) „ბილეთი“ – მატერიალური ან ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც იძლევა მატარებლით მგზავრობის უფლებას და რკინიგზისთვის წარმოშობს მგზავრის გადაყვანის ვალდებულებას. ბილეთი წარმოადგენს მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურებას, მიუხედავად ბილეთის ფორმისა;“;

ბ) „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) „რკინიგზის სადგური“ – რკინიგზის ინფრასტრუქტურული ობიექტი, რომელზეც სარკინიგზო მომსახურების გაწევა შეიძლება დაიწყოს, შეჩერდეს ან დასრულდეს და რომელიც განკუთვნილია მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის, ბარგის, ტვირთ-ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის ორგანიზებისათვის;“;

გ) „ც“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ც^{1}“ ქვეპუნქტი:

„ც^{1}) „რკინიგზის სადგურის მენეჯერი“ - იურიდიული პირი ან მისი ორგანიზაციული/სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია რკინიგზის ერთი ან მეტი სადგურის მართვაზე და რომელიც შეიძლება იყოს ინფრასტრუქტურის მენეჯერი;“;

დ) „წ“ და „ჭ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ე) „ჯ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ჯ^{1}-ჯ^{7} ქვეპუნქტები:

„ჯ^{1}) „ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი“ - იურიდიული პირი, ან მისი ორგანიზაციული/სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია მოძრავი შემადგენლობის მოვლა-შენახვაზე ან/და ტექნიკურ მომსახურებაზე;

ჯ^{2}) „ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის სერტიფიკატი“ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო

სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ სარკინიგზო უსაფრთხოების წესის შესაბამისად გაცემული სერტიფიკატი;

ჯ[3]) „ტუროპერატორი“ - „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ტუროპერატორი;

ჯ[4]) „ბილეთების გამყიდველი“ - რკინიგზით მგზავრთა გადაყვანასთან დაკავშირებული მომსახურებით საცალო მოვაჭრე, რომელიც ყიდის ბილეთებს, მათ შორის პირდაპირი მიმოსვლის ბილეთებს ერთ ან მეტ სარკინიგზო საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების ან სხვა შეთანხმების საფუძველზე;

ჯ[5]) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ – პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;

ჯ[6]) „გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირი“ - ფიზიკური პირი, რომელიც არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, თუმცა ნებისმიერი მიზეზით მისი გადაადგილება შეზღუდულია და საჭიროებს სათანადო ყურადღებას, რათა სხვა მგზავრების მსგავსად შეძლოს სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრობა;

ჯ[7]) „დანიშნულების პუნქტი“ – მგზავრის ბილეთში მითითებული ჩამოსხდომის პუნქტი;

ვ) „ჰ[4]“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. 6[1] მუხლის მე-4 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 ნაწილები:

„5. სააგენტო ახორციელებს მემანქანეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მემანქანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა №IV-100/ა) გაცემაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და უფლებამოსილი ექიმის აღიარებასა და მათ მონიტორინგს.

6. სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერი დაწესებულებისგან ან/და იურიდიული პირისგან გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

4. 13[1] მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13[2] და 13[3] მუხლები:

„მუხლი 13[2]. სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის ზედამხედველობა და მონიტორინგი

1. სააგენტო ახორციელებს საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით დამტკიცებული სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესის შესრულებაზე ზედამხედველობასა და მონიტორინგს, მათ შორის ნებისმიერ დროს ადგილზე მისვლით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის შესრულებაზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის წესი მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ნორმატიული აქტით.

3. გაეროს მიერ სახიფათო ტვირთების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისად I და VII კლასის სახიფათო ტვირთების რკინიგზით გადაზიდვის შესახებ ინფორმაცია წინასწარი წერილობითი შეტყობინების სახით, უნდა ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით დამტკიცებული სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესის შესაბამისად.

მუხლი 13³. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტი

1. ნებისმიერი იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა მოიცავს რკინიგზით სახიფათო ტვირთის გადაზიდვას ან/და მის შეფუთვას, დატვირთვას, გადმოტვირთვას ან/და დახარისხებას, ვალდებულია ჰყავდეს ერთი ან მეტი სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტი, გარდა საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით დამტკიცებული სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტს უნდა გააჩნდეს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატი, რომელსაც გასცემს სააგენტო.

3. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატი გაიცემა შესაბამისი სასწავლო კურსის გავლისა და სააგენტოში გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

4. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატი გაიცემა 5 წლის ვადით. სერტიფიკატის მოქმედების ვადა შესაძლოა, ერთჯერადად გახანგრძლივდეს დამატებით 5 წლით, თუ სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტი სერტიფიკატის მოქმედების ვადის გასვლამდე უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში ჩააბარებს გამოცდას.

5. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების, გამოცდის ჩატარების, სერტიფიკატის გაცემის, განახლებისა და აღდგენის, მისი მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესი და პირობები, აგრეთვე აღნიშნული სერტიფიკატის ფორმა მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ნორმატიული აქტით.

6. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების, ამ სტატუსის შეჩერებისა და გაუქმების წესი და პირობები, რაც მათ შორის მოიცავს შესაბამისი სასწავლო კურსის მიმართ მოთხოვნებს, მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ნორმატიული აქტით.

7. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს მის მიერ აღიარებული სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის ინსპექტირება. აღნიშნული ინსპექტირების წესი მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ნორმატიული აქტით.“.

5. 37-ე მუხლის მე-8 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 ნაწილი:

„9. მგზავრთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის ბარგთან, ტვირთთან, ტვირთ-ბარგთან და ფოსტასთან დაკავშირებული საკითხების, მგზავრთა რკინიგზით გადაყვანაზე ზედამხედველობისა და სააგენტოს მიერ მგზავრის საჩივრის განხილვის წესის რეგულირების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნორმატიული აქტით ამტკიცებს რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესს.“.

6. 37-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 37^1-37^7 მუხლები:

„მუხლი 37^1. მგზავრთა დისკრიმინაციის აკრძალვა

1. სარკინიგზო ტრანსპორტით სარგებლობისას დაუშვებელია მგზავრთა დისკრიმინაცია.

2. სარკინიგზო საწარმოებმა, ბილეთების გამყიდველებმა ან ტუროპერატორებმა მოსახლეობას უნდა შესთავაზონ სახელშეკრულებო პირობები და ტარიფები მგზავრის მოქალაქეობის ან სარკინიგზო საწარმოს, ბილეთების გამყიდველის ან ტუროპერატორის დაფუძნების ადგილის ნიშნით პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის გარეშე.

3. ეს მუხლი ასევე ვრცელდება სარკინიგზო საწარმოებსა და ბილეთების გამყიდველებზე მგზავრებისგან ჯავშნების მიღებისას.

4. საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში, განსაზღვრულ სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს შესაძლოა, დაუწესდეთ საშეღავათო პირობები.

მუხლი 37^2. მგზავრთა მიმართ შეზღუდვების დაწესების დაუშვებლობა

1. დაუშვებელია ამ კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით მგზავრებთან მიმართებით განსაზღვრული ვალდებულებებისგან გათავისუფლება მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულებით. სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მოიაზრებს ამ კოდექსით ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მგზავრთა უფლებების შეზღუდვას, მგზავრისათვის სავალდებულო არ არის.

2. სარკინიგზო საწარმოს, ტუროპერატორსა და ბილეთების გამყიდველს უფლება აქვს, მგზავრებს შესთავაზოს სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც უფრო ხელსაყრელია მგზავრისთვის, ვიდრე ამ კოდექსითა და რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესით განსაზღვრული პირობები.

მუხლი 37^3. სამგზავრო ინფორმაცია

1. სარკინიგზო საწარმომ, ასევე ტუროპერატორმა, ბილეთების გამყიდველმა და რკინიგზის სადგურის მენეჯერმა, რომელიც მგზავრებს სთავაზობს მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულებებს ერთი ან მეტი სარკინიგზო საწარმოს სახელით, მგზავრს შეთავაზებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეისების თაობაზე უნდა მიაწოდოს მგზავრთა უფლებების დაცვის წესით გათვალისწინებული მგზავრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

2. მგზავრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიწოდებული უნდა იქნეს რეალურ დროში, ისეთი ფორმით (მათ შორის, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით), რაც იძლევა საშუალებას, ადრესატის მიერ სრულად და ნათლად იქნას აღქმული მიწოდებული ინფორმაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სმენადაქვეითებული და მხედველობაშეზღუდული პირების საჭიროებებს.

მუხლი 37[4]. მატარებლის მოძრაობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა

1. ინფრასტრუქტურის მენეჯერმა მატარებლების განრიგთან დაკავშირებული მონაცემები რეალურ დროში უნდა მიაწოდოს სარკინიგზო საწარმოებს, ბილეთების გამყიდველებს, ტუროპერატორებსა და რკინიგზის სადგურის მენეჯერებს.

2. სარკინიგზო საწარმომ უნდა უზრუნველყოს სხვა სარკინიგზო საწარმო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბილეთების გამყიდველი და ტუროპერატორი მგზავრთა უფლებების დაცვის წესით გათვალისწინებული სამგზავრო და დაჯავშნის სისტემებთან დაკავშირებული ინფორმაციით, ამავე წესის შესაბამისად.

მუხლი 37[5]. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე მგზავრთა სარკინიგზო მომსახურებით უზრუნველყოფა

1. სარკინიგზო საწარმომ ან/და რკინიგზის სადგურის მენეჯერმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე მგზავრების წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით, უნდა შეიმუშავოს მატარებლით მგზავრობის არადისკრიმინაციული წესები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, მათ შორის, მისი დამხმარე პირისა და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირის გადაყვანისათვის.

2. სარკინიგზო საწარმომ და რკინიგზის სადგურის მენეჯერმა უნდა უზრუნველყონ, რომ პერსონალი, რომელიც საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების ფარგლებში, უშუალოდ უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირებისათვის დახმარების გაწევას, გადიოდეს შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ სპეციალურ სწავლებას და იცოდეს, როგორ

უზრუნველყოს ასეთ პირთათვის სარკინიგზო გადაყვანის მომსახურების ხელმისაწვდომობა. ასეთ სასწავლო კურსებს უნდა ჰქონდეს რეგულარული ხასიათი და ემსახურებოდეს პერსონალის მომზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და ცნობიერების გაზრდას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირების საჭიროებებთან მიმართებით.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე მგზავრების უფლებების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები და წესები განისაზღვრება რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესით.

მუხლი 37[6]. თანხის ანაზღაურება და მარშრუტის შეცვლა

1. თუ გონივრული ვარაუდის საფუძველზე მოსალოდნელია მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულებაში (ბილეთში) მითითებულ დანიშნულების პუნქტში ჩასვლა 60 წუთით ან მეტი დაგვიანებით, დაგვიანებული მომსახურების განმახორციელებელმა სარკინიგზო საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა შესთავაზოს მგზავრს შემდეგი უფლებებით სარგებლობა, საიდანაც მგზავრი ირჩევს ერთ-ერთს:

ა) ბილეთის მთლიანი ღირებულების ანაზღაურება მგზავრობის იმ მონაკვეთზე ან მონაკვეთებზე, რომლებიც არ განხორციელდა და იმ მონაკვეთზე ან მონაკვეთებზე, რომლებიც უკვე განხორციელდა, თუ ისინი აღარ ემსახურება მგზავრის თავდაპირველ მგზავრობის გეგმას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მგზავრი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამგზავრების პირველ პუნქტში დაბრუნების მომსახურებით, პირველივე შესაძლებლობისთანავე;

ბ) მგზავრობის გაგრძელება ან მარშრუტის შეცვლა დანიშნულების პუნქტამდე ჩასასვლელად, მსგავსი სატრანსპორტო პირობებით და პირველივე შესაძლებლობისთანავე;

გ) მგზავრობის გაგრძელება ან მარშრუტის შეცვლა დანიშნულების პუნქტამდე ჩასასვლელად, მსგავსი სატრანსპორტო პირობებით და მგზავრისათვის მოსახერხებელ დროს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის, მიუხედავად იმისა, მსგავსი სატრანსპორტო პირობებით მარშრუტის შეცვლა ხორციელდება დაგვიანებული მომსახურების განმახორციელებელი სარკინიგზო საწარმოს თუ სხვა სარკინიგზო საწარმოს მიერ, აღნიშნულმა არ უნდა წარმოშვას დამატებითი ხარჯები მგზავრისათვის. ეს მოთხოვნა ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც მარშრუტის შეცვლა მოიაზრებს მომსახურების უფრო მაღალი კლასის მქონე ტრანსპორტისა და ტრანსპორტის ალტერნატიული სახეობების გამოყენებას. სარკინიგზო საწარმოებმა უნდა მიმართონ გონივრულ ძალისხმევას დამატებითი დაკავშირებული რეისების/გადაჯდომების თავიდან ასაცილებლად და უნდა უზრუნველყონ რაც შეიძლება მცირე დროით დაგვიანება მგზავრობის მთლიანი დროის ფარგლებში.

მგზავრები არ უნდა განთავსდნენ უფრო დაბალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი საშუალებები მარშრუტის შეცვლის ერთადერთი ხელმისაწვდომი ალტერნატივაა.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა უნდა ანაზღაურდეს მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობითა და სარკინიგზო საწარმოს მიერ დადგენილი წესით. თანხა, ასევე შესაძლებელია, ანაზღაურდეს ვაუჩერის სახით ან/და სხვა სარკინიგზო გადაყვანასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებით, იმ პირობით, თუ ამ ვაუჩერთან ან/და მომსახურებასთან დაკავშირებული პირობები საკმარისად მოქნილია მოქმედების ვადასა და დანიშნულების პუნქტთან მიმართებით და მგზავრი თანახმაა, მიიღოს ეს ვაუჩერი ან/და მომსახურება.

მუხლი 37[7]. კომპენსაცია სარკინიგზო საწარმოს მიზეზით გამოწვეული დაგვიანებისათვის

1. მგზავრი, მგზავრობის უფლების შენარჩუნებით, უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია სარკინიგზო საწარმოს მიზეზით გამოწვეული დაგვიანებისათვის, თუ ის იგვიანებს ბილეთზე მითითებული გამგზავრების პუნქტიდან დანიშნულების პუნქტამდე გადაადგილებისას და ბილეთში გადახდილი თანხა ანაზღაურებული არ არის ამ კოდექსის 37[6] მუხლის შესაბამისად. დაგვიანებისათვის გათვალისწინებული მინიმალური კომპენსაცია შეადგენს:

ა) ბილეთის ღირებულების 25 %-ს 60-დან 120 წუთამდე დაგვიანებისათვის;

ბ) ბილეთის ღირებულების 50 %-ს 120 წუთით ან უფრო მეტი ხნით დაგვიანებისათვის.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილი ასევე ვრცელდება სააბონემენტო ბარათის ან სეზონური ბილეთის მფლობელ მგზავრებზე. თუ მგზავრი აწყდება განმეორებითი დაგვიანების ან მომსახურების გაუქმების შემთხვევებს სააბონემენტო ბარათის ან სეზონური ბილეთის მოქმედების ვადის განმავლობაში, ის უფლებამოსილია, მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია სარკინიგზო საწარმოს საკომპენსაციო პირობების შესაბამისად, რომელიც უნდა ადგენდეს დაგვიანების განსაზღვრისა და კომპენსაციის გაანგარიშების კრიტერიუმებს. თუ 60 წუთზე ნაკლები ხანგრძლივობის დაგვიანების შემთხვევები განმეორებით ხდება სააბონემენტო ბარათის ან სეზონური ბილეთის მოქმედების ვადის განმავლობაში, დაგვიანების შემთხვევების აღრიცხვა შესაძლებელია კუმულაციურად, ხოლო მგზავრებისათვის კომპენსაციის გადახდა შესაძლებელია სარკინიგზო საწარმოს საკომპენსაციო პირობების შესაბამისად.

3. კომპენსაცია დაგვიანებისათვის გაანგარიშდება მგზავრის მიერ გადახდილი ბილეთის ღირებულების მთლიანი ოდენობით. თუ მგზავრის გადაყვანის შესახებ ხელშეკრულება ეხება ორმხრივ მგზავრობას, კომპენსაცია მიმავალი ან უკან დასაბრუნებელი რეისის დაგვიანებისათვის გაანგარიშდება ბილეთზე მითითებული მგზავრობის ამ კონკრეტული ნაწილის ღირებულების ოდენობით. თუ ცალკეული ნაწილების ღირებულება მითითებული

არ არის, კომპენსაცია გაანგარიშდება ბილეთისათვის გადახდილი ღირებულების თანხის ნახევარი ოდენობით. დაგვიანებული მომსახურების ღირებულება, რომელიც გათვალისწინებულია მგზავრის გადაყვანის შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა ფორმით და უფლებას აძლევს მგზავრს, იმგზავროს ორ ან მეტ თანმიმდევრულ მონაკვეთზე, მთლიანი ღირებულების ოდენობის პროპორციულად გაანგარიშდება.

4. კომპენსაცია ბილეთის ღირებულებისათვის გადახდილ უნდა იქნეს კომპენსაციის მოთხოვნის წარდგენიდან 30 დღის ვადაში. კომპენსაცია მოთხოვნილ უნდა იქნეს დაგვიანებული ან გაუქმებული რეისის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან 10 დღის ვადაში. კომპენსაცია ასევე შესაძლებელია, ანაზღაურდეს ვაუჩერის სახით ან/და სხვა სარკინიგზო გადაყვანასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებით, მგზავრის თანხმობის შემთხვევაში.

5. სარკინიგზო საწარმოს უფლება აქვს, დააწესოს მინიმალური ზღვარი, რომელიც აღემატება ამ მუხლით განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობას.

6. მგზავრებს არ აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება, თუ ისინი ინფორმირებული არიან დაგვიანების შესახებ ბილეთის შეძენამდე ან თუ სხვა მომსახურების ფარგლებში მგზავრობის გაგრძელებით ან მარშრუტის შეცვლით გამოწვეული დაგვიანების ხანგრძლივობა 60 წუთზე ნაკლებია.

7. სარკინიგზო საწარმო ვალდებული არ არის გადაიხადოს კომპენსაცია, თუ მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულებაში (ბილეთში) მითითებულ დანიშნულების პუნქტში ჩასვლის დაგვიანება, მომსახურების შეწყვეტა ან მგზავრის გადასხდომის დაგვიანება გამოწვეულია ერთ-ერთი შემდეგი გარემოებით:

ა) საგანგებო გარემოებები, რომლებიც არ უკავშირდება უშუალოდ რკინიგზის საქმიანობას, მათ შორის მეტეოროლოგიური პირობები, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და სხვა, თუ აღნიშნული პირდაპირ გავლენას ახდენს შესაბამისი მომსახურების შესრულებაზე და რომლის თავიდან აცილება ან შედეგების პრევენცია სარკინიგზო საწარმოს არ შეეძლო, მიუხედავად მოცემული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით მიმართული საჭირო ძალისხმევისა;

ბ) მგზავრის ბრალით;

გ) მესამე პირის ქმედება, როგორიცაა ლიანდაგზე მყოფი ადამიანები, ელექტროგაყვანილობების ქურდობა, საგანგებო სიტუაცია ბორტზე, სამართალდამცავი ორგანოების ღონისძიებები, საბოტაჟი, ტერორიზმი ან სხვა, თუ აღნიშნული პირდაპირ გავლენას ახდენს შესაბამისი მომსახურების შესრულებაზე და რომლის თავიდან აცილება ან შედეგების პრევენცია სარკინიგზო საწარმოს არ შეეძლო, მიუხედავად მოცემული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით მიმართული საჭირო ძალისხმევისა.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა სარკინიგზო საწარმოს პერსონალის გაფიცვა, იმავე სარკინიგზო ინფრასტრუქტურით მოსარგებლე სხვა საწარმოს ქმედება ან უმოქმედობა ან/და ინფრასტრუქტურის მენეჯერის ან რკინიგზის სადგურის მენეჯერის მოქმედება ან უმოქმედობა.

9. სარკინიგზო საწარმოს მიზეზით გამოწვეული დაგვიანების შემთხვევაში დამატებითი მოთხოვნები და ვალდებულებები განისაზღვრება რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესით.“.

7. 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მგზავრობის საფასური მგზავრს ასევე მთლიანად უბრუნდება ავადმყოფობის ან ბილეთში აღნიშნული ადგილით დაკმაყოფილების შეუძლებლობისა და მის ნაცვლად შეთავაზებული სხვა ადგილით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში.“.

8. 42-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 42^1-42^2 მუხლები:

„მუხლი 42^1. რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის ზედამხედველობა

1. რკინიგზის ბილეთების რეალიზაციისას, სარკინიგზო საწარმომ, რკინიგზის სადგურის მენეჯერმა, ბილეთების გამყიდველმა და ტუროპერატორმა მგზავრებს უნდა მიაწოდონ ზოგადი ინფორმაცია ამ კოდექსითა და რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესით გათვალისწინებული მათი უფლებებისა (მათ შორის საჩივრის წარდგენის უფლება) და ვალდებულებების შესახებ. ამ ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ფორმით, ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით. მათ უნდა დააკონკრეტონ, სად შეიძლება ასეთი ინფორმაციის მიღება მომსახურების გაუქმების, მგზავრის მიერ გადასხდომაზე დაგვიანების ან ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევაში.

2. მგზავრს უფლება აქვს მოთხოვნის უფლების წარმომშობი შემთხვევის დადგომიდან 3 თვის ვადაში საჩივრით მიმართოს სარკინიგზო საწარმოს ან რკინიგზის სადგურის მენეჯერს ამ კოდექსითა და რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესით განსაზღვრულ მათ პასუხისმგებლობას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით. სარკინიგზო საწარმო ან რკინიგზის სადგურის მენეჯერი საჩივარს განიხილავს 1 თვის ვადაში.

3. ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მგზავრთა უფლებების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტო. ამ სფეროში სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) მგზავრთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა;

ბ) მგზავრთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით საჩივრების განხილვა;

გ) რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესის შესრულების შემოწმება (ინსპექტირება).

4. თუ სააგენტო გამოავლენს რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესის დარღვევას, იგი უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგ ღონისძიებათაგან ერთ-ერთი ან ერთდროულად რამდენიმე:

ა) მოითხოვოს დარღვევისა და რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების მის მიერ მითითებული ფორმით და მითითებულ ვადაში გამოსწორება;

ბ) წერილობით მისცეს რჩევები და გაუწიოს რეკომენდაცია პირს მის მიერ რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაში;

გ) სამართალდამრღვევს დააკისროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა და მისი შესრულება უნდა მოხდეს სააგენტოს მიერ მითითებულ ვადაში.

6. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო გამოავლენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იგი უფლებამოსილია, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მიიღოს გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სარკინიგზო საწარმოსთვის ან/და რკინიგზის სადგურის მენეჯერისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.“.

მუხლი 42². სააგენტოს მიერ საჩივრის განხილვა

1. სააგენტო ვალდებულია განიხილოს მგზავრის საჩივარი რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესის დარღვევასთან დაკავშირებით და გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2. სააგენტო უფლებამოსილია მგზავრის საჩივართან დაკავშირებული გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით განახორციელოს შემოწმება. სარკინიგზო საწარმო, ინფრასტრუქტურის მენეჯერი, რკინიგზის სადგურის მენეჯერი, ბილეთების გამყიდველი და ტუროპერატორი ვალდებულია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს მას შესაბამისი მასალა, ინფორმაცია ან/და დოკუმენტი, ასევე უზრუნველყოს სააგენტოს უფლებამოსილ თანამშრომელთა დაშვება შესაბამის ინფრასტრუქტურასთან.

3. სააგენტოს მიერ მგზავრის საჩივრის განხილვის ვადა 2 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. სააგენტოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით.

4. სააგენტო უფლებამოსილია, საჩივრის განხილვისას, გონივრული ვადით შეაჩეროს შესაბამისი საქმის წარმოება დამატებითი მასალის, ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გამოთხოვის საფუძვლით, რის შესახებაც აცნობებს საჩივრის წარმდგენ პირს. საჩივრის განხილვა გაგრძელდება ამ საფუძვლის გაუქმებისთანავე. საქმის წარმოების შეჩერების პერიოდი არ ჩაითვლება ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში.“.

9. 59-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 59[1] მუხლი:

„მუხლი 59[1]. ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი

1. თითოეული სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალების სარკინიგზო ქსელში გამოყენებამდე, უნდა განისაზღვროს მის ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უნდა ფლობდეს ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის სერტიფიკატს.

2. ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის სერტიფიკატს გასცემს სააგენტო სარკინიგზო უსაფრთხოების წესის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სააგენტო ასევე უფლებამოსილია უსაფრთხოების წესის შესაბამისად, განაახლოს, შეაჩეროს ან გააუქმოს ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის სერტიფიკატი.

3. ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს იმ სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების, რომელთა მოვლა-შენახვასა და ტექნიკურ მომსახურებასაც ახორციელებს, მოძრაობისთვის უსაფრთხო მდგომარეობაში ყოფნა.

4. სარკინიგზო უსაფრთხოების წესით განისაზღვრება ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ფუნქციების დელეგირებისა და მისგან საგამონაკლისო შემთხვევები.

5. სააგენტო ახორციელებს ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის ინსპექტირებას, მონიტორინგსა და ზედამხედველობას სააგენტოს მიერ დამტკიცებული ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის ინსპექტირების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელების წესის შესაბამისად.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტოს უნდა მიეცეს ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის ნებისმიერ ინფორმაციასთან, შენობა-ნაგებობასთან, დანადგართან, მოწყობილობასა და აღჭურვილობასთან დაშვების უფლება.

7. ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის სავალდებულო სერტიფიცირების, მათ შორის მისგან საგამონაკლისო შემთხვევები განისაზღვრება სარკინიგზო უსაფრთხოების წესით.

8. ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის სერტიფიკატის ფორმა მტკიცდება სააგენტოს შესაბამისი ნორმატიული აქტით.“.

10. 64-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უსაფრთხოების სერტიფიკატის, ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის სერტიფიკატისა და უსაფრთხოების ავტორიზაციის ფორმების დამტკიცება;“.

ბ) მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) მემანქანეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მემანქანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა №IV-100/ა) გაცემაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და უფლებამოსილი ექიმის აღიარებისა და მათი მონიტორინგის წესის დამტკიცება;“.

გ) მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“-„მ“ ქვეპუნქტები:

„თ) სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის შესრულებაზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის წესის დამტკიცება;

ი) სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების, გამოცდის ჩატარების, სერტიფიკატის გაცემის, განახლებისა და აღდგენის, მისი მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესის, პირობებისა და სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის ფორმის დამტკიცება;

კ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის სტატუსის აღიარების, ამ სტატუსის შეჩერებისა და გაუქმების წესისა და პირობების დამტკიცება;

ლ) სააგენტოს მიერ აღიარებული სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირის ინსპექტირების წესის დამტკიცება;

მ) ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის ინსპექტირების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცება.“.

დ) მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა 2025 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცება.“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2-მე-9 ნაწილებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-5-მე-8 ნაწილები ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

4. ამ კანონის პირველი მუხლის მე-9 ნაწილი ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**